

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

i-iv

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

განმარტებითი შენიშვნები	9
1. ძირითადი საქმიანობა	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	21
5. შესადრისი ინფორმაციის გადაანგარიშება	22
6. საპროცენტო შემოსავალი	24
7. საპროცენტო ხარჯი	24
8. სხვა შემოსავალი	24
9. პერსონალის ხარჯები	24
10. სხვა საოპერაციო ხარჯები	25
11. მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	25
12. დაბეგვრა	25
13. ძირითადი საშუალებები	27
14. მომხმარებლებზე გაცემული სესხები	27
15. რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება / ზარალში ასახვით	32
16. კაპიტალი	33
17. ფული და ფულის ეკვივალენტები	33
18. მიღებული სესხები	33
19. სხვა ვალდებულებები	33
20. საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადავადებულის გარდა	33
21. აქტივის გამოყენების უფლება	34
22. საიტარო ვალდებულებები	34
23. დაკავშირებული მხარეები	35
24. ფინანსური რისკების მართვა	36
25. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	39
26. კაპიტალის მართვა	41
27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები	42



RSM Georgia
85, Z Paliashvili Str.
Tbilisi 0162, Georgia
T +995 (32) 255 88 99
F +995 (32) 255 88 99
www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“ მფლობელებსა და სამეთვალყურეო საბჭოს:

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, მფლობელთა კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-5 განმარტებით შენიშვნაზე. სადაც მოცემულია წინა წლების გადაანგარიშების შესახებ ინფორმაცია. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნული გარემოებების გამო.

თქვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ 26-ე განმარტებით შენიშვნაზე, სადაც მოცემულია ინფორმაცია აქტივების დაგირავების კოეფიციენტის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შეუსაბამობის და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი პერიოდის შესახებ აღნიშნული კოეფიციენტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნული გარემოებების გამო.

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება აუდირებულია სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც 2022 წლის 31 მაისს გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2022 წლის მმართველობის ანგარიშში მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა თქვენი ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ „საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტთან მიმართებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2023 წლის 12 ივლისით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის

გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას

- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის დაშვების გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

12 ივლისი 2023

არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი

პაატა ჩუბინიძე

- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად სანარმოს ფუნქციონირებადობის დაშვების გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი სანარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

12 ივლისი 2023

არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი

პაატა ჩუბინიძე

RSM Georgia

S. Chubini

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	2,557,757	1,776,043	1,608,628
მომხმარებელზე გაცემული სესხები	14	10,903,099	11,280,053	9,665,411
ძირითადი საშუალებები	13	1,173,643	1,163,691	1,236,656
აქტივის გამოყენების უფლება	21	620,105	616,104	529,885
გადავადებული საგადასახადო აქტივი	12	-	-	-
სხვა საგადასახადო აქტივი, წმინდა		-	126,468	-
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	15	41,597	30,678	57,373
სხვა აქტივები		235,623	136,433	40,238
სულ აქტივები		15,531,824	15,129,470	13,138,191
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	16	1,000,000	1,000,000	1,000,000
გაუნაწილებელი მოგება		6,153,570	5,626,292	5,108,636
სულ კაპიტალი		7,153,570	6,626,292	6,108,636
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	18	7,608,079	7,480,342	5,974,271
საიჯარო ვალდებულებები	22	615,235	684,217	642,168
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		15,325	55,344	3,183
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		7,954	-	158,440
სხვა ვალდებულებები		131,661	283,275	251,492
სულ ვალდებულებები		8,378,254	8,503,178	7,029,554
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,531,824	15,129,470	13,138,190

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 12 ივლისი.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

გიორგი გუგუმბერიძე

დავით შაფაქიძე

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	2,557,757	1,776,043	1,608,628
მომხმარებელზე გაცემული სესხები	14	10,903,099	11,280,053	9,665,411
ძირითადი საშუალებები	13	1,173,643	1,163,691	1,236,656
აქტივის გამოყენების უფლება	21	620,105	616,104	529,885
გადავადებული საგადასახადო აქტივი	12	-	-	-
სხვა საგადასახადო აქტივი, წმინდა		-	126,468	-
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	15	41,597	30,678	57,373
სხვა აქტივები		235,623	136,433	40,238
სულ აქტივები		15,531,824	15,129,470	13,138,191
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	16	1,000,000	1,000,000	1,000,000
გაუნაწილებელი მოგება		6,153,570	5,626,292	5,108,636
სულ კაპიტალი		7,153,570	6,626,292	6,108,636
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	18	7,608,079	7,480,342	5,974,271
საიჯარო ვალდებულებები	22	615,235	684,217	642,168
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		15,325	55,344	3,183
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		7,954	-	158,440
სხვა ვალდებულებები		131,661	283,275	251,492
სულ ვალდებულებები		8,378,254	8,503,178	7,029,554
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,531,824	15,129,470	13,138,190

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 12 ივლისი.

დირექტორი:

გიორგი გუგუშვილიძე

მთავარი ბუღალტერი:

დავით შაფაქიძე

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
საპროცენტო შემოსავალი	6	2,304,519	2,183,090
საპროცენტო ხარჯი	7	(1,097,890)	(821,885)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		1,206,629	1,361,205
სესხების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	14	(401,312)	301,232
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების გაუფასურების შემდეგ		805,317	1,662,437
სხვა შემოსავალი	8	2,927,792	1,204,423
პერსონალის ხარჯები	9	(961,945)	(719,850)
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა და ამორტიზაცია	21	(75,594)	(51,846)
ცვეთა და ამორტიზაცია	10; 13	(130,741)	(187,559)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(1,171,219)	(1,075,569)
წმინდა შემოსავალი/(ხარჯი) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	15	(29,583)	(26,695)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	11	(586,769)	(235,524)
მოგება დაბეგვრამდე		777,258	569,817
მოგების გადასახადის ხარჯი		40,020	(52,161)
წლის წმინდა მოგება		817,278	517,656
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		817,278	517,656

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 12 ივლისი.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

გიორგი გუგუმბერიძე

დავით შაფაქიძე

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
საპროცენტო შემოსავალი	6	2,304,519	2,183,090
საპროცენტო ხარჯი	7	(1,097,890)	(821,885)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		1,206,629	1,361,205
სესხების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	14	(401,312)	301,232
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების გაუფასურების შემდეგ		805,317	1,662,437
სხვა შემოსავალი	8	2,927,792	1,204,423
პერსონალის ხარჯები	9	(961,945)	(719,850)
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა და ამორტიზაცია	21	(75,594)	(51,846)
ცვეთა და ამორტიზაცია	10; 13	(130,741)	(187,559)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(1,171,219)	(1,075,569)
წმინდა შემოსავალი/(ხარჯი) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	15	(29,583)	(26,695)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	11	(586,769)	(235,524)
მოგება დაბეგვრამდე		777,258	569,817
მოგების გადასახადის ხარჯი		40,020	(52,161)
წლის წმინდა მოგება		817,278	517,656
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		817,278	517,656

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 12 ივლისი.

დირექტორი:

გიორგი გუგუმბერიძე

მთავარი ბუღალტერი:

დავით შაფაქიძე

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	1,000,000	5,108,636	6,108,636
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	517,656	517,656
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	1,000,000	5,626,292	6,626,292
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	817,278	817,278
დივიდენდის გამოცხადება	-	(290,000)	(290,000)
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	1,000,000	6,153,570	7,153,570

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 12 ივლისი.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

გიორგი გუგუმბერიძე

დავით შაფაქიძე


შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	1,000,000	5,108,636	6,108,636
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	517,656	517,656
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	1,000,000	5,626,292	6,626,292
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	817,278	817,278
დივიდენდის გამოცხადება	-	(290,000)	(290,000)
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	1,000,000	6,153,570	7,153,570

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 12 ივლისი.


დირექტორი:



გიორგი გუგუმბერიძე

მთავარი ბუღალტერი:

დავით შაფაქიძე



შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგრვამდე		777,258	603,182
კორექტირებები:			
სესხების გაუფასურების ანარიცხი	14	401,312	(301,232)
ცვეთა და ამორტიზაცია	10; 13	206,335	239,405
საპროცენტო შემოსავალი		(2,304,519)	(2,183,090)
საპროცენტო ხარჯი	7	1,034,142	751,456
წმინდა ზარალი რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან მოგება / ზარალში	15	29,583	26,695
(მოგება)/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, ნეტო		586,769	235,524
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		730,880	(628,060)
გაცემული სესხების შემცირება / (ზრდა)	14	191,506	(1,245,158)
სხვა აქტივების შემცირება / (ზრდა)		(139,692)	(295,564)
საგადასახადო და სხვა ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		(17,192)	(84,524)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(40,019)	(52,161)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ფულადი ნაკადები პროცენტამდე და დაბეგრვამდე		725,483	(2,305,467)
მიღებული პროცენტი	14	2,088,655	2,088,546
გადახდილი პროცენტი	18	(1,002,860)	(812,394)
მოგების გადასახადი	12	40,020	(128,867)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		1,851,298	(1,158,182)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	13	(515,759)	(185,338)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	13	375,066	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(140,693)	(185,338)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა	18	(32,219,772)	(30,118,693)
სესხების მიღება	18	31,736,225	31,706,562
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(111,443)	(127,150)
სხვა საპროცენტო დანახარჯი		63,748	70,429
გადახდილი დივიდენდი	16	(290,000)	-
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(821,242)	1,531,148
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა / (შემცირება)		889,363	187,628
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,776,043	1,608,628
სავალუტო კურსის ცვლილებების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	17	(107,649)	(20,213)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		2,557,757	1,776,043

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 12 ივლისი.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

გიორგი გუგუმბერიძე

დავით შაფაქიძე


შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		777,258	603,182
მოგება დაბეგრვამდე			
კორექტირებები:			
სესხების გაუფასურების ანარიცხი	14	401,312	(301,232)
ცვეთა და ამორტიზაცია	10; 13	206,335	239,405
საპროცენტო შემოსავალი		(2,304,519)	(2,183,090)
საპროცენტო ხარჯი	7	1,034,142	751,456
წმინდა ზარალი რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან მოგება / ზარალი (მოგება)/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, ნეტო	15	29,583	26,695
		586,769	235,524
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		730,880	(628,060)
გაცემული სესხების შემცირება / (ზრდა)	14	191,506	(1,245,158)
სხვა აქტივების შემცირება / (ზრდა)		(139,692)	(295,564)
საგადასახადო და სხვა ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		(17,192)	(84,524)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(40,019)	(52,161)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ფულადი ნაკადები პროცენტამდე და დაბეგრვამდე		725,483	(2,305,467)
მიღებული პროცენტი	14	2,088,655	2,088,546
გადახდილი პროცენტი	18	(1,002,860)	(812,394)
მოგების გადასახადი	12	40,020	(128,867)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		1,851,298	(1,158,182)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	13	(515,759)	(185,338)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	13	375,066	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(140,693)	(185,338)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა	18	(32,219,772)	(30,118,693)
სესხების მიღება	18	31,736,225	31,706,562
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(111,443)	(127,150)
სხვა საპროცენტო დანახარჯი		63,748	70,429
გადახდილი დივიდენდი	16	(290,000)	-
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(821,242)	1,531,148
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა / (შემცირება)		889,363	187,628
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,776,043	1,608,628
სავალუტო კურსის ცვლილებების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	17	(107,649)	(20,213)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		2,557,757	1,776,043

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 12 ივლისი.


დირექტორი:



გიორგი გუგუმბერიძე

მთავარი ბუღალტერი:

დავით შაფაქიძე



განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

(ა) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2010 წლის 21 ოქტომბერს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404876238. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსის დარეგისტრირება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოხდა 2011 წლის 20 დეკემბერს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საკრედიტო საშუალებების შეთავაზება მცირე მეწარმეებისთვის მათი საქმიანობების გაზრდისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია გიორგი გუგუმბერიძე.

გიორგი გუგუმბერიძის (ს/ნ 404876238) საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი დაგირავებულია სს „თიბისი ბანკში“ 2020 წლის 11 თებერვალს დადებული გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გამსახურდიას გამზირი 3.

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები წარმოდგენილია 23-ე შენიშვნაში.

(ბ) ბიზნეს გარემო

მისო მთავარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ბიზნესგარემო ხასიათდება არაერთი სტრუქტურული ნაკლოვანებებით საქართველო არის პატარა, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა მაღალი დოლარიზაციის დონით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტითა და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე მზარდი დამოკიდებულებით. შედეგად, ქვეყნის ფინანსური სისტემა ხდება დაუცველი გლობალურ ეკონომიკურ და ფინანსურ ტენდენციებთან მიმართებაში. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არსებულ გარემოებებში იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყოს მისოს საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს სტანდარტები) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებით აღრიცხვის წესით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მოცემული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადანაცვებების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

ფუნქციონალური და წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაინერგება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით.

ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით.

ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 USD/GEL	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.8844	3.5040

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ჰყოფს შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ფინანსური აქტივები დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია გაცემული სესხებით, ნაღდი ფულით და ფულადი სახსრების ეკვივალენტებით, რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტებით. ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ნაღდ ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე. მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულების მქონე ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლის სვოპ ოპერაციას.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან ან სესხების გაცემიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური

საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით

ჩვეულებრივ ბიზნეს საქმიანობის პროცესში კომპანია აფორმებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების კონტრაქტებს - სავალუტო სვოპი, რომლის მიზანი არის სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების მართვა. სავალუტო სვოპის ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომლის დროსაც ერთი მხარე სესხულობს ერთ ვალუტას და ერთდროულად აძლევს მეორეს სესხს მეორე მხარისგან. თითოეული მხარე იყენებს თავის კონტრაგენტის მიმართ დაფარვის ვალდებულებას გირაოს სახით და დაფარვის ოდენობა ფიქსირდება ხელშეკრულების დაწყების მდგომარეობით სავალუტო ფორვარდული კურსით. ასეთი ფინანსური ინსტრუმენტები აღიარებულია ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარების პოლიტიკის შესაბამისად და შემდგომში ფასდება რეალური ღირებულებით. ყველა სავაჭრო წარმოებული ინსტრუმენტი აღირიცხება აქტივად როდესაც მათი რეალური ღირებულება დადებითია და - ვალდებულებად როდესაც რეალური ღირებულება უარყოფითია. 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა ღია სვოპ გარიგებებს. ამ ინსტრუმენტების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ბიზნეს მოდელის შეფასება

კომპანია ახდენს კლიენტებზე გაცემული სესხების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; დაფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

გემოხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

კომპანიის ბიზნეს მოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნეს მოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნეს მოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნეს მოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნეს მოდელის (და ამ ბიზნეს მოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების რეალურ ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);

- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნეს მოდელის შეფასების თარიღით საწარმოს მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნეს მოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას. „ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარად ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის შეცვლისა. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის ფარგლებშიც კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს, იცვლება, შესაბამისი ფინანსური აქტივები რეკლასიფიცირდება. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები გამოიყენება პროსპექტიულად ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციის შემდგომი საანგარიშგებო პერიოდის პირველი დღიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9 მოითხოვს ECL-ის გაანგარიშებას კომპანიის ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით, ასევე, რეალური ღირებულებით ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შეძენილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ს.კომპანია ჯგუფურად აფასებს გაცემული სესხების პორტფელის გაუფასურებას. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, ისინი ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება ეფუძნება 3-ეტაპიან მიდგომას, მათი წარმოქმნის ან შეძენის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

1-ლი ეტაპი: კომპანია აღიარებს საკრედიტო ბარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი: კომპანია აღიარებს საკრედიტო ბარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობაზე. ანარიცხი საკრედიტო ბარალზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე პირველი ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულად.

მე-3 ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. კომპანია აღიარებს გაუფასურების ბარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ბარალის თანხით, ამ გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის ალბათობის 100 %-ით.

უზრუნველყოფის სახე	1 ეტაპი	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი
უძრავი ქონება	0-30	31-90	>90
ავტომობილი	0-30	31-90	>90
ძვირფასი ლითონები	0-30	31-90	>90
არაუზრუნველყოფილი	0-30	31-90	>90

ავტომატურად ანიჭებს სესხს 1 ეტაპს, სესხის გაცემის მომენტში. სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპზე, თუ ქვემოთ მოცემული რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- 31 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- მსესხებლის, ან თანამსესხებლის მიმართ სარჩელის აღძვრა;
- მსესხებლის მიერ სამუშაო ადგილის დაკარგვა;
- მსესხებლის ბიზნესის დიდი წილის განადგურება;

სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპიდან 1-ელ ეტაპზე, თუ:

- ვადაგადაცილება არის 0-დან 30 დღემდე;
- იმ გარემოებების გამოსწორება, რომლის გამოც სესხმა გადაინაცვლა მე-2 ეტაპზე.

დეფოლტის განსაზღვრება

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- 91 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- უზრუნველყოფის საგნის განადგურება ან დაკარგვა;
- ბიზნესის გაკოტრება ან ლიკვიდაცია (ეხება ბიზნეს სესხებს).

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს: რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს; ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე; ასევე მომავლის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას. კომპანიის შეფასებით საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუგვიანეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისა.

საპროგნოზო ინფორმაცია

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის საკრედიტო გაუფასურების წარსულ გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე. კომპანია ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც კომპანია ოპერირებს.

კომპანია ბოლო 4 წლის ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აფასებს დეფოლტის ალბათობის კორელაციას მაკროეკონომიკურ ცვლადებთან (მშპ-ს ზრდა, ინფლაცია) მიმართებაში და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისას ითვალისწინებს კონკრეტული მაკროეკონომიკური ცვლადის სცენარების შესახებ არსებულ საპროგნოზო ინფორმაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფლაციასთან და მშპ-ს ზრდასთან კორელაცია არის 0.5-ზე მეტი და -0.5-ზე ნაკლები, შესაბამისად.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოშვა

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად გამოყენებული მაჩვენებლები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD)
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ნახლდება როდესაც ხდება სესხის გაუფასურების ანარიცხის კალკულაცია.

დეფოლტის ალბათობა (PD)

დეფოლტის ალბათობის მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით. დეფოლტის ალბათობის შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

ქართულ ლარში

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის კომპანია იყენებს ბოლო 3 წლის სტატისტიკას. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის და გამოითვლება სასესხო პორტფელის მიმართ მიგრაციის მატრიცის მისადაგებით, რომელიც გვიჩვენებს სასესხო პორტფელის ერთი დიაპაზონიდან მეორეში გადანაცვლების ალბათობას. მიგრაციის მატრიცა იყოფა შემდეგ კალათებად:

ვადაგადაცილებული დღეები	ეტაპი
0	I
1-30	I
31-90	II
>90	III

კომპანიას აქვს რესტრუქტურირებული სესხების (კომპანიასა და მსესხებელს შორის ფორმდება შეთანხმება პირობების ცვლილების შესახებ და არსებული სესხისთვის ხდება ახალი გრაფიკის აგება) მცირე რაოდენობა, ამიტომ რესტრუქტურირების სტატუსის გათვალისწინება არ ხდება მიგრაციის მატრიცაში. ასეთი ტიპის გაცემულ სესხებს უპირობოდ ენიჭება 100%-იანი შეუსრულებლობის ალბათობა.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოიყენება წარსულ პერიოდში გადეფოლტებული სესხები და ამ სესხებზე დეფოლტის მომენტიდან საანგარიშგებო პერიოდამდე განხორციელებული თანხის შემოდინებები წლის ჭრილში.

ფულადი ნაკადები დისკონტირდება სეგმენტის საშუალო შენონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება

კომპანიამ არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე კომპანია არ ახორციელებს გაუფასურების აღიარებას ფასს 9-ის შესაბამისად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან.

მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით

ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა, სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთჩათვლისთვის.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვთისა და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გაუფასურებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. ხოლო აქტივების ცვეთა ირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი დარიცხვის მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ძირითადი საშუალებები	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	50
ავტო და ოფისის აღჭურვილობა	2-7
სატრანსპორტო საშუალებები	7
სხვა	7-10

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მათი წარმოშობისთანავე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. კომპანიის კაპიტალი ფორმირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, კომპანია საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტში გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ აქტივებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების

ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას საწარმო აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმომ უნდა შეაფასოს:

კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ფასს 16-ის მიხედვით მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო საოპერაციო იჯარად. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის (იჯარა რომლის ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის.

მოგების გადასახადები.

მოგების გადასახადები წარმოდგენილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის დარიცხვა/კრედიტი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებებში. მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან მისაღებია მათგან მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრ მოგება-ზარალთან დაკავშირებით. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღრიცხულია ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯში.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით იმ დროებითი სხვაობებისთვის რაც წარმოიშობა დაბეგვრის მიზნით აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობისა და მათი ფასს სტანდარტით დადგენილ მოცულობას შორის. დროებითი სხვაობებიდან წარმოშობილი გადავადებული მოგების გადასახადის ნაშთები იზომება მოქმედი ან არსებითად იმ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მოქმედი საგადასახადო განაკვეთებით, როცა მოსალოდნელია დროებითი სხვაობების გაქრობა.

რეალური ღირებულების დადგენა

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს ფინანსურ ინტრუმენტებს რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

ქართულ ლარში

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. რეალური ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის რეალური ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია რეალურ ღირებულებებს აფასებს რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიით, რომელიც ასახავს შეფასებებში გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას.

- დონე 1 ფინანსური ინსტრუმენტები - ესენია შეფასებისას გამოყენებული საშუალებები დაუკორექტირებელი კვოტირებული ფასები აქტიური ბაზრებიდან იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მიმართ, რომლებზეც კომპანიას აქვს წვდომა გაზომვის თარიღამდე. კომპანიას მხოლოდ მაშინ მიაჩნია ბაზარი აქტიურად თუ არსებობს სათანადო სავაჭრო საქმიანობები შესაბამისი მოცულობითა და ლიკვიდურობით იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების და როდესაც საბალანსო თარიღისთვის ხელმისაწვდომია სავალდებულო და გამოყენებადი ფასების კვოტები. მონაცემები რომლებიც გამოყენებულ იქნა შეფასებაში არის დაუკორექტირებელი კვოტირებული ფასი, აქტიური ბაზრებიდან იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მიმართ, რომლებსაც კომპანიას აქვს წვდომა გაზომვის თარიღთან. კომპანია აქტიურად მიიჩნევს ბაზრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი სავაჭრო საქმიანობა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მოცულობისა და ლიკვიდურობის თვალსაზრისით და როდესაც არსებობს ბალანსის თარიღის სავალდებულო და განხორციელებადი ფასები.
- დონე 2 ფინანსური ინსტრუმენტები - ესენია შეფასებისას გამოყენებული საშუალებები და რომლებიც არის არსებითი, გამომდინარეობს უშუალოდ ან ირიბად დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებიდან, რომელიც ხელმისაწვდომია ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ასეთი საშუალებები მოიცავს აქტიური ბაზრის მსგავსი აქტივების ან ვალდებულებების კვოტირებულ ფასებს, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთის მრუდი, ნაგულისხმევი ცვალებადობა და საკრედიტო სპრედი. გარდა ამისა, კორექტირებები შეიძლება იყოს საჭირო აქტივის მდგომარეობის ან ადგილმდებარეობის ან იმ მოცულობასთან მიმართებაში, რომელიც მას მიესადაგება შეფასებულ ინსტრუმენტთან. თუმცა, თუ ასეთი შესწორება ეფუძნება არასაბაზრო მონაცემებს, რომლებიც არსებითია მთლიანი შეფასებისათვის, მაშინ კომპანია ამ ინსტრუმენტს დააკლასიფიცირებს როგორც მესამე დონისას. ეს არის მონაცემები, რომლებიც გამოიყენება შესაფასებლად და არის მნიშვნელოვანი, გამომდინარეობს პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებიდან, რომელიც ხელმისაწვდომია მთელი ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. ასეთი ინფორმაცია მოიცავს აქტიური ბაზრის მსგავსი აქტივების ან ვალდებულებების კვოტირებულ ფასებს, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთების შემოსავლიანობის მრუდები, ნაგულისხმევი ცვალებადობა და საკრედიტო სპრედები. გარდა ამისა, კორექტირება შეიძლება საჭირო იყოს აქტივის მდგომარეობის ან ადგილმდებარეობის

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ან იმ ზომასთან მიმართებაში, რომელიც მას ეხება იმ შესაფერის ინსტრუმენტთან შედარებით. ამასთან, თუკი ამგვარი ცვლილებები დაფუძნებულია არაემპირიული მონაცემების საფუძველზე, რომლებიც მნიშვნელოვანია მთლიანი გაზომვისთვის, კომპანია ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტებს, როგორც მე -3 დონეს.

- დონე 3 ფინანსური ინსტრუმენტები - ისინი რომლებიც მოიცავენ ერთს ან მეტ არასაბაზისო მონაცემებს რომელიც არსებითია მთლიანი შეფასებისათვის.

კომპანია პერიოდულად განიხილავს შეფასების ტექნიკას, მათ შორის მიღებული მეთოდოლოგიისა და მოდელის კალიბრაციის ჩათვლით. ამასთან, საბაზო მოდულებმა შეიძლება სრულად ვერ დაფაროს კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების შესაბამისი ფაქტორები, როგორიცაა საკრედიტო რისკი (CVA), საკუთარი საკრედიტო (DVA) ან / და დაფინანსების ხარჯები (FVA). შესაბამისად, კომპანია იყენებს სხვადასხვა ტექნიკას.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის დადგენა, რომლებიც იზომება რეალური ღირებულებით, მოიცავს პორტფელზე დაფუძნებულ მიდგომას რომელიც გამოიყენება მოსალოდნელი ნეტო თანხით ინდივიდუალური აქტივების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, თითოეული კონტრაქტით, იმისათვის, რათა ასახოს ცალკეული კონტრაგენტების საკრედიტო რისკი არაუზრუნველყოფილი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

კომპანია აფასებს თითოეული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დონეებს სათითაოდ ინსტრუმენტების მიხედვით და საჭიროების შემთხვევაში ახდენს ინსტრუმენტების ხელახალ კლასიფიკაციას, საანგარიშო პერიოდის

ბოლოს დამყარებულ ფაქტებზე დაყრდნობით.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაინიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს საბალანსო ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის შეფასება

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი;
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით.
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას კომპანია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

5. შესადრისი ინფორმაციის გადაანგარიშება

კომპანიამ გაასწორა შემდეგი შეცდომები:

2021 წლის 1 იანვრის და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიამ აღიარა პროგრამული მხარდაჭერა, როგორც გამოყენების უფლება ფასს 16 „იჯარები“-ს, თუმცა შემდგომი ანალიზის შედეგად ფასს 16 „იჯარები“-ის შესაბამისად აქტივების გამოყენების უფლების აღიარების კრიტერიუმები არ დაკმაყოფილდა აღნიშნული სტანდარტის მოთხოვნებს. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის ინფორმაციის უკეთესი წარდგენისთვის მატერიალური ეფექტიდან გამომდინარე, მისომ მოახდინა ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება 2021 წლის 1 იანვრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნულმა გადაანგარიშებამ ეფექტი ფინანსური ანგარიშგების შესაბამის ელემენტებზე იხილეთ ქვემოთ.

	31 დეკემბერი 2021	გადაანგარ იშება	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2021	გადაანგარი შება	1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)
აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,776,043	-	1,776,043	1,608,628	-	1,608,628
მომხმარებელზე გაცემული სესხები	11,280,053	-	11,280,053	9,665,411	-	9,665,411
ძირითადი საშუალებები	1,163,691	-	1,163,691	1,236,656	-	1,236,656
აქტივის გამოყენების უფლება	826,150	5,374	616,104	756,504	226,619	529,885
გადავადებული საგადასახადო აქტივი	84,776	-	-	122,553	122,553	-
სხვა საგადასახადო აქტივი, წმინდა	126,468	-	126,468	-	-	-
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	30,678	-	30,678	57,373	-	57,373
სხვა აქტივები	136,433	-	136,433	40,238	-	40,238
სულ აქტივები	15,424,292	5,374	15,129,470	13,487,363	349,172	13,138,191
კაპიტალი და ვალდებულებები						
კაპიტალი						
საწესდებო კაპიტალი	1,000,000	-	1,000,000	1,000,000	-	1,000,000
გაუნაწილებელი მოგება	5,737,302	-	5,626,292	5,217,442	108,806	5,108,636
სულ კაპიტალი	6,737,302	-	6,626,292	6,217,442	108,806	6,108,636
ვალდებულებები						
მიღებული სესხები	7,480,342	-	7,480,342	5,974,271	-	5,974,271
საიჯარო ვალდებულებები	923,373	(5,374)	684,217	885,717	243,549	642,168

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
ქართულ ლარში

გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	-	-	55,344	-	(3,183)	3,183
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	-	-	-	158,440	-	158,440
სხვა ვალდებულებები	283,275	-	283,275	251,492	-	251,492
სულ ვალდებულებები	8,686,990	(5,374)	8,503,178	7,269,920	240,366	7,029,554
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	15,424,292	(5,374)	15,129,470	13,487,362	349,172	13,138,190

	2021	გადაანგარიშება	2021 (გადაანგარიშებული)
საპროცენტო შემოსავალი	2,183,090	-	2,183,090
საპროცენტო ხარჯი	(847,492)	(25,607)	(821,885)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	1,335,598	(25,607)	1,361,205
სესხების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	301,232	-	301,232
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების გაუფასურების შემდეგ	1,636,830	(25,607)	1,662,437
სხვა შემოსავალი	1,204,423	-	1,204,423
პერსონალის ხარჯები	(719,850)	-	(719,850)
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა და ამორტიზაცია	(63,045)	(11,199)	(51,846)
ცვეთა და ამორტიზაცია	(187,559)	-	(187,559)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,050,943)	24,626	(1,075,569)
წმინდა შემოსავალი/(ხარჯი) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	(26,695)	-	(26,695)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	(189,979)	45,545	(235,524)
მოგება დაბეგვრამდე	603,182	33,365	569,817
მოგების გადასახადის ხარჯი	(83,322)	-	(52,161)
წლის წმინდა მოგება	519,860	33,365	517,656
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	519,860	33,365	517,656

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

6. საპროცენტო შემოსავალი

	2022	2021
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	1,696,567	1,455,091
ავტომატურად უზრუნველყოფილი სესხები	467,874	397,514
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	137,258	322,647
არაუზრუნველყოფილი სესხები	2,820	7,838
სულ საპროცენტო შემოსავალი	2,304,519	2,183,090

7. საპროცენტო ხარჯი

	2022	2021
საპროცენტო ხარჯი ბანკებისგან მიღებულ სესხებზე	919,925	639,870
საპროცენტო ხარჯი ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხებზე	114,217	133,914
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებიდან	63,748	48,101
სულ საპროცენტო ხარჯი	1,097,890	821,885

ბანკისაგან მიღებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 13%-14.5%-მდე, ფიზიკური პირებისგან - 3.3%-12%-მდე.

8. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ვალუტის ვაჭრობით მიღებული მოგება	2,401,943	802,751
მიღებული ჯარიმები	378,417	320,316
სხვა	147,432	81,356
სულ სხვა შემოსავალი	2,927,792	1,204,423

9. პერსონალის ხარჯები

პერსონალის ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ძირითადი ხელფასი	773,776	574,096
პრემიები	188,169	145,754
სულ პერსონალის ხარჯები	961,945	719,850

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
ქართულ ლარში

10. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
საკომისიო	734,588	666,194
ოფისის ხარჯები	245,589	207,572
რეკლამის და გაყიდვების ხარჯები	61,828	69,514
კომუნალური გადასახადები	50,906	43,665
პროფესიული მომსახურება *	31,495	29,345
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	26,561	41,003
საკომუნიკაციო ხარჯები	17,700	17,413
ჯარიმები და საურავები	2,069	3
სხვა	483	860
სხვა საოპერაციო ხარჯები	1,171,219	1,075,569

* 2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის აუდიტორულ კომპანიაზე გაწეული წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის და სხვა პროფესიული მომსახურების ღირებულება შეადგენს 31,000 და 36,378 ლარს, შესაბამისად.

11. მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა

კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ფული და ფულის ეკვივალენტები	(107,649)	(20,212)
სხვა ფინანსური ინსტრუმენტები	(479,120)	(215,312)
სულ კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	(586,769)	(235,524)

12. დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს. ეფექტური მოგების გადასახადის განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით დადგენილი ნორმისგან. მოგების გადასახადის ხარჯის რეკონსილაცია საკანონმდებლო და ფაქტური განაკვეთის მიხედვით არის შემდეგი:

	2022	2021
მოგება დაბეგვრამდე	777,258	569,817
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი შესაბამისი საკანონმდებლო 15%-იანი განაკვეთით	(116,589)	(85,473)
საგადასახადო მიზნით გამოუქვითავი ხარჯი ან დაუბეგრავი შემოსავალი	156,609	33,312
მოგების გადასახადის შემოსავალი/(ხარჯი)	40,020	(52,161)

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	45,546
გადავადებული მოგების გადასახადი	40,020	(97,707)
სულ მოგების გადასახადის შემოსავალი/(ხარჯი)	40,020	(52,161)

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი დროებითი სხვაობების მიხედვით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2021	ცვლილება მოგება-ზარალში	31 დეკემბერი 2022
დასაბეგრი დროებითი სხვაობები			
ძირითადი საშუალებები	7,533	(3,287)	4,246
საიჯარო ვალდებულებები	102,633	(10,348)	92,285
სხვა ვალდებულებები	23,566	(23,566)	-
სულ გადავადებული საგადასახადო აქტივი	133,732	(37,201)	96,531
გამოსაქვითი დროებითი სხვაობები			
მომხმარებელზე გაცემული სესხები	73,223	(66,323)	6,900
აქტივის გამოყენების უფლება	92,416	600	93,016
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	4,602	1,638	6,240
სხვა აქტივები	12,786	(7,085)	5,701
მიღებული სესხები	6,051	(6,051)	-
სულ გადავადებული საგადასახადო აქტივი	189,078	(77,221)	111,857
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი/(ვალდებულება)	(55,346)	40,020	(15,326)

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი დროებითი სხვაობების მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2020	ცვლილება მოგება-ზარალში	31 დეკემბერი 2021
დასაბეგრი დროებითი სხვაობები			
ძირითადი საშუალებები	3,790	3,743	7,533
საიჯარო ვალდებულებები	96,325	6,308	102,633
სხვა ვალდებულებები	23,566	-	23,566
სულ გადავადებული საგადასახადო აქტივი	123,681	10,051	133,732
გამოსაქვითი დროებითი სხვაობები			
მომხმარებელზე გაცემული სესხები	31,255	41,967	73,222
აქტივის გამოყენების უფლება	79,483	12,933	92,416
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	8,606	(4,004)	4,602
სხვა აქტივები	4,640	8,146	12,786
მიღებული სესხები	2,881	3,170	6,051
სულ გადავადებული საგადასახადო აქტივი	126,865	62,212	189,077
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი/(ვალდებულება)	(3,184)	(52,161)	(55,345)

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
ქართულ ლარში

13. ძირითადი საშუალებები

საბალანსო ღირებულება	შენიშვნები	ოფისის აღჭურვილობა	ავტომანქანები	სხვა	ჯამი
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	1,107,840	418,175	219,478	90,627	1,836,120
შემოსვლა	-	31,714	-	4,360	36,074
გასვლა	-	(6,355)	-	(1,243)	(7,598)
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	1,107,840	443,534	219,478	93,744	1,864,596
შემოსვლა	-	14,279	501,045	435	515,759
გასვლა	-	-	(408,327)	-	(408,327)
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	1,107,840	457,813	312,196	94,179	1,972,028
აკუმულირებული ცვეთა					
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	(182,421)	(218,636)	(146,373)	(52,034)	(599,464)
წლიური ცვეთა	(23,330)	(40,975)	(31,611)	(12,025)	(107,941)
გასვლა	-	5,257	-	1,243	6,500
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	(205,751)	(254,354)	(177,984)	(62,816)	(700,905)
წლიური ცვეთა	(23,330)	(36,813)	(47,532)	(23,067)	(130,742)
გასვლა	-	-	33,262	-	33,262
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	(229,081)	(291,167)	(192,254)	(85,883)	(798,385)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	925,419	199,539	73,105	38,593	1,236,656
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	902,089	189,180	41,494	30,928	1,163,691
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	878,759	166,646	119,942	8,296	1,173,643

მიღებული სესხების ფარგლებში კომპანიის უძრავი ქონება სრულად არის დაგირავებული.

14. მომხმარებლებზე გაცემული სესხები

მომხმარებლებზე გაცემული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ძირი	11,389,992	11,436,292
დარიცხული პროცენტი	215,864	265,718
დარიცხული ჭარიმები	-	59,446
მინუს: გაუფასურების ანარიცხი	(702,757)	(481,403)
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	10,903,099	11,280,053

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მომხმარებლებზე გაცემული სესხები სახეობების მიხედვით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2022	მთლიანი თანხა	Stage 1	Stage 2	Stage 3	მთლიანი მოსალოდნელ ი საკრედიტო ზარალი	სესხები (წმინდა)	ECL %
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი	9,036,188	(14,030)	(1,690)	(208,669)	(224,389)	8,811,799	2%
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი	672,027	(19,258)	-	(156,490)	(175,748)	496,279	26%
ავტომანქანებით უზრუნველყოფილი	1,702,556	(22,693)	(1,384)	(84,295)	(108,372)	1,594,184	6%
არაუზრუნველყოფილი	195,085	(160)	-	(194,088)	(194,248)	837	100%
	11,605,856	(56,141)	(3,074)	(643,542)	(702,757)	10,903,099	

მომხმარებლებზე გაცემული სესხები სახეობების მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2021	მთლიანი თანხა	Stage 1	Stage 2	Stage 3	მთლიანი მოსალოდნელ ი საკრედიტო ზარალი	სესხები (წმინდა)	EC L %
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი	8,806,216	(38,658)	(12,672)	(116,986)	(168,316)	8,637,900	2%
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი	1,248,831	(823)	(667)	(93,529)	(95,019)	1,153,812	8%
ავტომანქანებით უზრუნველყოფილი	1,450,880	(2,944)	-	(30,724)	(33,668)	1,417,212	2%
არაუზრუნველყოფილი	255,529	(36)	-	(184,364)	(184,400)	71,129	72%
	11,761,456	(42,461)	(13,339)	(425,603)	(481,403)	11,280,053	

ინფორმაცია ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2022	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (წმინდა)	ECL %
არა ვადაგადაცილებული	8,025,432	(13,212)	8,012,220	0%
30 დღე ვადაგადაცილება	496,454	(817)	495,637	0%
31-60 დღე ვადაგადაცილება	136,574	(1,093)	135,481	1%
61-90 დღე ვადაგადაცილება	74,709	(598)	74,111	1%
90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	303,019	(208,669)	94,350	69%
	9,036,188	(224,389)	8,811,799	

ინფორმაცია ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2021	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (წმინდა)	ECL %
არა ვადაგადაცილებული	7,652,707	(30,545)	7,622,162	0%
30 დღე ვადაგადაცილება	468,546	(8,113)	460,433	2%
31-60 დღე ვადაგადაცილება	216,271	(8,238)	208,033	4%
61-90 დღე ვადაგადაცილება	68,877	(4,434)	64,443	6%

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

ქართულ ლარში

90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	399,815	(116,986)	282,829	29%
	8,806,216	(168,316)	8,637,900	

ინფორმაცია უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2022	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (წმინდა)	ECL %
არა ვადაგადაცილებული	515,537	(19,258)	496,279	4%
30 დღე ვადაგადაცილება	-	-	-	0%
31-60 დღე ვადაგადაცილება	-	-	-	0%
61-90 დღე ვადაგადაცილება	-	-	-	0%
90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	156,490	(156,490)	-	100%
	672,027	(175,748)	496,279	

ინფორმაცია უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2021	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (წმინდა)	ECL %
არა ვადაგადაცილებული	1,023,837	(1,490)	1,022,347	0%
30 დღე ვადაგადაცილება	6,506	-	6,506	0%
31-60 დღე ვადაგადაცილება	-	-	-	0%
61-90 დღე ვადაგადაცილება	-	-	-	0%
90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	218,488	(93,529)	124,959	43%
	1,248,831	(95,019)	1,153,812	

ინფორმაცია ავტომატურად უზრუნველყოფილი სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2022	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (წმინდა)	ECL %
არა ვადაგადაცილებული	1,608,846	(22,598)	1,586,248	1%
30 დღე ვადაგადაცილება	6,676	(94)	6,582	1%
31-60 დღე ვადაგადაცილება	2,739	(1,385)	1,354	51%
61-90 დღე ვადაგადაცილება	-	-	-	0%
90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	84,295	(84,295)	-	100%
	1,702,556	(108,372)	1,594,184	

ინფორმაცია ავტომატურად უზრუნველყოფილი სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2021	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (წმინდა)	ECL %
არა ვადაგადაცილებული	1,280,902	(2,577)	1,278,325	0%
30 დღე ვადაგადაცილება	62,973	(367)	62,606	1%
31-60 დღე ვადაგადაცილება	6,224	-	6,224	-
61-90 დღე ვადაგადაცილება	-	-	-	-
90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	100,781	(30,724)	70,057	30%
	1,450,880	(33,668)	1,417,212	

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ინფორმაცია არაუზრუნველყოფილი სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2022	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (წმინდა)	ECL %
არა ვადაგადაცილებული	997	(160)	837	16%
30 დღე ვადაგადაცილება	-	-	-	-
31-60 დღე ვადაგადაცილება	-	-	-	-
61-90 დღე ვადაგადაცილება	-	-	-	-
90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	194,088	(194,088)	-	100%
	195,085	(194,248)	837	

ინფორმაცია არაუზრუნველყოფილი სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2021	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (წმინდა)	ECL %
არა ვადაგადაცილებული	2,377	(36)	2,341	2%
30 დღე ვადაგადაცილება	-	-	-	-
31-60 დღე ვადაგადაცილება	-	-	-	-
61-90 დღე ვადაგადაცილება	-	-	-	-
90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	253,152	(184,364)	68,788	73%
	255,529	(184,400)	71,129	

ინფორმაცია უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხების შესახებ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2022	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (წმინდა)	ECL %
უზრუნველყოფილი	11,410,771	(508,509)	10,902,262	4.46%
არა უზრუნველყოფილი	195,085	(194,248)	837	99.57%
	11,605,856	(702,757)	10,903,099	

ინფორმაცია უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხების შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2021	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (წმინდა)	ECL %
უზრუნველყოფილი	11,286,309	(297,003)	10,989,306	3%
არა უზრუნველყოფილი	475,147	(184,400)	290,747	39%
	11,761,456	(481,403)	11,280,053	

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

გაუფასურების რეგერვის ცვლილება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12-თვიანი ECL	სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECLსაკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ბალანსი წლის დასაწყისში	42,461	13,339	425,603	481,403
ახალი გაცემული სესხები	26,363	2,548	24,053	52,964
გადატანა პირველ ეტაპზე	1,739	(1,739)	-	-
გადატანა მეორე ეტაპზე	(705)	911	(206)	-
გადატანა მესამე ეტაპზე	(1,347)	(534)	1,881	-
დაფარული სესხები	(26,725)	(12,741)	(111,718)	(151,184)
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	3,634	(619)	316,559	319,574
ბალანსი წლის ბოლოს	45,420	1,165	656,172	702,757

გაუფასურების რეგერვის ცვლილება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12-თვიანი ECL	სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECLსაკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ბალანსი წლის დასაწყისში	50,512	160,533	571,590	782,635
ახალი გაცემული სესხები	29,110	-	-	29,110
გადატანა პირველ ეტაპზე	-	-	-	-
გადატანა მეორე ეტაპზე	-	-	-	-
გადატანა მესამე ეტაპზე	-	-	-	-
დაფარული სესხები	-	-	-	-
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	(2,546)	(2,546)
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	(37,161)	(147,194)	(143,441)	(327,796)
ბალანსი წლის ბოლოს	42,461	13,339	425,603	481,403

გაცემული სესხების ცვლილება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12-თვიანი ECL	სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECLსაკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ბალანსი წლის დასაწყისში	10,634,909	285,889	840,658	11,761,456
ახალი გაცემული სესხები	5,766,596	148,215	63,821	5,978,632
გადატანა პირველ ეტაპზე	33,540	(33,540)	-	-

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

გადატანა მეორე ეტაპზე	(59,548)	60,122	(574)	-
გადატანა მესამე ეტაპზე	(159,285)	(8,358)	167,643	-
დაფარული სესხები	(5,132,048)	(239,168)	(264,244)	(5,635,460)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	-	-
საკრედიტო რისკის ცვლილებებით გამოწვეული ცვლილებები	(430,093)	820	(69,499)	(498,772)
ბალანსი წლის ბოლოს	10,654,071	213,980	737,805	11,605,856

გაცემული სესხების ცვლილება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12-თვიანი ECL	სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECLსაკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ბალანსი წლის დასაწყისში	9,295,173	196,816	956,057	10,448,046
ახალი გაცემული სესხები	7,637,493	259,808	254,533	8,151,834
გადატანა პირველ ეტაპზე	25,430	(15,968)	(9,462)	-
გადატანა მეორე ეტაპზე	(19,735)	22,958	(3,223)	-
გადატანა მესამე ეტაპზე	(105,002)	(42,198)	147,200	-
დაფარული სესხები	(5,848,164)	(136,414)	(474,972)	(6,459,550)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	(2,546)	(2,546)
საკრედიტო რისკის ცვლილებებით გამოწვეული ცვლილებები	(350,284)	887	(26,931)	(376,328)
ბალანსი წლის ბოლოს	10,634,911	285,889	840,656	11,761,456

მომხმარებლებზე გაცემული სესხების სამართლიანი ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

15. რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება / ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით შედგება უცხოური ვალუტის კონტრაქტებისგან, კერძოდ, კომპანიას დადებული აქვს სვოპ კონტრაქტები ყიდვა - ლარი, გაყიდვა აშშ დოლარი, რათა მართოს სავალუტო რისკები. აღნიშნული კონტრაქტების ვადიანობა მოიცავს 1 წლამდე პერიოდს. იმ კონტრაქტების არარეალიზებული მოგება ან ზარალი, რომელიც არ დასრულებულა საანგარიშგებო წელში შესაბამისად აღიარდება მოგებაში ან ზარალში და რეალური ღირებულებით აღირიცხება ფინანსურ ინსტრუმენტებში მოგებაში ან ზარალში ასახვით. სვოპ კონტრაქტებიდან აღიარებულმა წმინდა ზარალმა 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგინა 29,583 ლარი (2021: 26,695 ლარი).

სამართლიანი ღირებულებების შეჭერება მიმდინარე და წინა ფინანსური წლის დასაწყისში და ბოლოს მოცემულია ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სამართლიანი ღირებულება წლის დასაწყისში	30,678	57,373
რეალური ღირებულების ცვლილება	10,919	(26,695)
სამართლიანი ღირებულება წლის ბოლოს	41,597	30,678

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

16. კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,000,000 ლარს (2021 წელს : 1,000,000 ლარი).

2022 წელს მოხდა 290,000 ლარის ოდენობის დივიდენდის გამოცხადება და გადახდა.

17. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული სალაროში	2,307,709	1,687,169
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	250,048	88,874
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	2,557,757	1,776,043

ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

18. მიღებული სესხები

მიღებული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ძირი	7,576,797	7,451,243
პროცენტი	31,282	29,099
სულ მიღებული სესხები	7,608,079	7,480,342

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გრძელვადიანი სესხები		
კომერციული ბანკები	3,655,981	3,016,931
ფიზიკური პირები	1,351,000	573,056
სულ გრძელვადიანი სესხები	5,006,981	3,589,987
მოკლევადიანი სესხები		
კომერციული ბანკები	2,601,098	2,556,702
ფიზიკური პირები	-	1,333,653
სულ მოკლევადიანი სესხები	2,601,098	3,890,355

მიღებული სესხების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

19. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2022, 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს მომწოდებლების მიმართ არსებულ დავალიანებებს 131,661 და 283,275 ლარის ოდენობით, შესაბამისად. სხვა ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

20. საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადავადებულის გარდა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	(7,954)	126,468
სულ საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	(7,954)	126,468

21. აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	შენიშვნები	პროგრამული მხარდაჭერა	სულ
31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებამდე)	746,808	248,730	995,538
კორექტირება	-	(248,730)	(248,730)
1 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებული)	746,808	-	746,808
დამატება	138,065	-	138,065
იჯარის მოდიფიკაცია	-	-	-
31 დეკემბერი 2021	884,873	-	884,873
დამატება	-	-	-
იჯარის მოდიფიკაცია	79,595	-	79,595
31 დეკემბერი 2022	964,468	-	964,468

დაგროვილი ამორტიზაცია	შენიშვნები	პროგრამული მხარდაჭერა	სულ
31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებამდე)	(216,923)	(22,112)	(239,035)
კორექტირება	-	22,112	22,112
1 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებული)	(216,923)	-	(216,923)
ცვეთა	(51,846)	-	(51,846)
31 დეკემბერი 2021	(268,769)	-	(268,769)
ცვეთა	(75,594)	-	(75,594)
31 დეკემბერი 2022	(344,363)	-	(344,363)

წმინდა საბალანსო ღირებულება			
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	529,885	-	529,885
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	616,104	-	616,104
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	620,105	-	620,105

აქტივის გამოყენების უფლება წარმოადგენს კომპანიის საოფისე ფართებს ფილიალებისთვის. საიჯარო ხელშეკრულებები ძირითადად არის 7-დან 15 წლამდე პერიოდის.

22. საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულების ცვლილება 2022 და 2021 წლების განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით თავდაპირველი აღიარებისას (გადაანგარიშებამდე)	684,217	885,717
კორექტირება	-	(243,549)
1 იანვრის მდგომარეობით თავდაპირველი აღიარებისას (გადაანგარიშებული)	684,217	642,168

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

დამატებები წლის განმავლობაში	-	122,793
იჯარის მოდიფიცირება	79,595	-
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	63,748	48,104
გადახდები წლის განმავლობაში	(111,443)	(97,150)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	(100,882)	(31,698)
31 დეკემბრის მდგომარეობით	615,235	684,217

აქტივის გამოყენების უფლება წარმოადგენს კომპანიის საოფისე ფართებს ფილიალებისთვის. საიჯარო ხელშეკრულებები ძირითადად არის 7-დან 15 წლამდე პერიოდის.

იჯარის ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

23. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	დამფუძნებელი	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსური ანგარიშგების მუხლი
მიღებული სესხები	189,140	1,161,860	-	1,351,000

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	დამფუძნებელი	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსური ანგარიშგების მუხლი
მიღებული სესხები	573,056	1,331,968	-	1,905,024

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	დამფუძნებელი	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსური ანგარიშგების მუხლი
საპროცენტო ხარჯი	10,932	107,583	-	229,528
პერსონალის ხარჯები	9,696	-	-	85,198

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	დამფუძნებელი	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსური ანგარიშგების მუხლი
საპროცენტო ხარჯი	104,940	124,588	-	229,528
პერსონალის ხარჯები	35,377	-	-	85,198

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგია:

	2022	2021
მოკლევადიანი ანაზღაურება – ხელფასები და ბონუსები	11,615	49,821
სულ	32,920	59,240

24. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. რისკის უმთავრესი სახე არის საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი, საპროცენტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. კომპანია დგას ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკის ქვეშ მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე.

კომპანიის მიერ გამოყენებული და ფინანსურ რისკთან დაკავშირებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გაცემული სესხები	10,903,099	11,280,053
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,557,757	1,776,043
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	41,597	30,678
სხვა ფინანსური აქტივები	235,623	136,433
სულ ფინანსური აქტივები	13,738,076	13,223,207
მიღებული სესხები	7,608,079	7,480,342
საიჯარო ვალდებულებები	615,235	684,217
სხვა ფინანსური ვალდებულებები	131,661	283,275
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,354,975	8,447,834

უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ რეალური ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარია უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში). კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე ძირითადად მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული, აგრეთვე აშშ დოლარში დენომინირებული გასესხებული და ნასესხები თანხებიდან. სავალუტო რისკის მიმართ, მენეჯმენტი ახორციელებს მუდმივ კონტროლს. რისკის შესამცირებლად კომპანია აფორმებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების კონტრაქტებს - სავალუტო სვოპი, რომლის მიზანია სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების მართვა. ასეთი ფინანსური ინსტრუმენტები აღიარებულია

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარების პოლიტიკის შესაბამისად და შემდგომში ფასდება რეალური ღირებულებით. ყველა სავაჭრო წარმოებული ინსტრუმენტი აღირიცხება აქტივად როდესაც მათი რეალური ღირებულება დადებითია და - ვალდებულებად როდესაც რეალური ღირებულება უარყოფითია. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის განმავლობაში ფლობდა ღია სვოპ გარიგებებს აშშ დოლარში. ამ ინსტრუმენტების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი ასახულია მოგებაზარალის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც წარდგენილია მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით:

31 დეკემბერი 2022	ლარი	აშშ დოლარი	სხვა ვალუტები	სულ
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	10,699,777	203,322	-	10,903,099
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,069,385	1,297,598	190,774	2,557,757
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	41,597	-	41,597
სხვა ფინანსური აქტივები	235,623	-	-	235,623
სულ ფინანსური აქტივები	12,004,785	1,542,517	190,774	13,738,076
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	6,255,650	1,352,429	-	7,608,079
საიჯარო ვალდებულებები	-	615,235	-	615,235
სხვა ფინანსური ვალდებულებები	131,661	-	-	131,661
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,387,311	1,967,664	-	8,354,975
ღია სავალუტო პოზიცია	5,617,474	(425,147)	190,774	5,383,101

31 დეკემბერი 2021	ლარი	აშშ დოლარი	სხვა ვალუტები	სულ
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	10,914,375	365,678	-	11,280,053
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,310,877	272,116	193,050	1,776,043
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	30,678	-	30,678
სხვა ფინანსური აქტივები	136,433	-	-	136,433
სულ ფინანსური აქტივები	12,361,685	668,472	193,050	13,223,207
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	5,573,633	1,906,709	-	7,480,342
საიჯარო ვალდებულებები	-	684,217	-	684,217
სხვა ფინანსური ვალდებულებები	283,275	-	-	283,275
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,856,908	2,590,926	-	8,447,834
ღია სავალუტო პოზიცია	6,504,777	(1,922,454)	193,050	4,775,373

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის მგრძნობელობას 20%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 20% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 20%-იანი ცვლილებით.

	31 დეკემბერი 2022		31 დეკემბერი 2021	
ვალუტის კურსის მგრძნობელობა	20%	-20%	20%	-20%
დოლარის ეფექტი	(85,029)	85,029	(384,491)	384,491
სხვა ვალუტების ეფექტი	38,155	(38,155)	38,610	(38,610)

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი როდესაც კომპანია დგას ფინანსური სირთულეების წინაშე ვალდებულებების დაფარვისას დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ლიკვიდობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავებულია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების /ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ქვემოთ ცხრილებში მოცემული კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი დაფუძნებულია დარჩენილ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	8,105,854	2,215,779	581,466	10,903,099
ფული და ფულის ექვივალენტები	2,557,757	-	-	2,557,757
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით	41,597	-	-	41,597
სხვა აქტივები	235,623	-	-	235,623
სულ ფინანსური აქტივები	10,940,831	2,215,779	581,466	13,738,076
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	2,591,955	5,016,124	-	7,608,079
საიჯარო ვალდებულებები	61,079	267,056	287,100	615,235
სხვა ვალდებულებები	131,661	-	-	131,661
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,784,695	5,283,180	287,100	8,354,975
ლიკვიდობის პოზიცია	8,156,136	(3,067,401)	294,366	5,383,101
აკუმულირებული ლიკვიდობის პოზიცია	8,156,136	5,088,735	5,383,101	

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	8,260,718	2,549,860	469,475	11,280,053
ფული და ფულის ექვივალენტები	1,776,043	-	-	1,776,043

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

ქართულ ლარში

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით	30,678	-	-	30,678
სხვა აქტივები	136,433	-	-	136,433
სულ ფინანსური აქტივები	10,203,872	2,549,860	469,475	13,223,207
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	3,890,355	3,589,987	-	7,480,342
საიჯარო ვალდებულებები	55,402	213,719	415,096	684,217
სხვა ვალდებულებები	283,275	-	-	283,275
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,229,032	3,803,706	415,096	8,447,834
ლიკვიდურობის პოზიცია	5,974,840	(1,253,846)	54,379	4,775,373
აკუმულირებული ლიკვიდურობის პოზიცია	5,974,840	4,720,994	4,775,373	

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი ცვლადი ღირებულებებით, რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან- სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთებიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

წლიურ %-ში	2022		2021	
	ლარი	აშშ დოლარი	ლარი	აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	14.4%-50%	15.6%-42%	14.4%-50%	15.6%-42%
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	13%-14.5%	-	10.35%-14.5%	-

25. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება საიმედოდ, რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება მისოს მიერ გამოითვლება საბაზრო ინფორმაციის, მისი არსებობის შემთხვევაში, და შესაბამისი შეფასების მეთოდების საფუძველზე. თუმცა საბაზრო ინფორმაციის ინტერპრეტაციისთვის, სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით აუცილებელია პროფესიული მსჯელობის გამოყენება. საქართველო აგრძელებს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლების გამოვლენას და ეკონომიკური პირობები ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კვოტირება შეიძლება იყოს მოძველებული და ასახავდეს გაყიდვის ტრანზაქციებს დაბალ ფასში და არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას.

მისო იყენებს შეფასების მეთოდების შემდეგ იერარქიულ სტრუქტურას ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისა და განსაზღვრისთვის:

დონე 1: აქტიურ ბაზარზე მიმოქცევაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (ისეთი, როგორცაა საჯარო გაყიდვაში არსებული წარმოებული ინსტრუმენტები, სავაჭრო და გაყიდვისთვის განკუთვნილი ფასინი ქაღალდები) დაფუძნებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბაზრის კვოტირებულ ფასებზე. ამ ინსტრუმენტებს მოიცავს დონე 1.

დონე 2: იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის მიმოქცევაში აქტიურ ბაზარზე (მაგალითად: არასაბირჟო წარმოებული ინსტრუმენტები) დგინდება იმ შეფასების

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს და რაც

შეიძლება ნაკლებად ეყრდნობა კომპანიის სპეციფიკის შეფასებას. თუ არსებობს ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი, ინსტრუმენტი მიეკუთვნება დონე 2-ს.

დონე 3: იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან მეტი მნიშვნელოვანი მონაცემი არ წარმოადგენს დაკვირვებადი ბაზრის მაჩვენებელს, ინსტრუმენტი მიეკუთვნება დონე 3-ს. ეს ეხება ბირჟაზე არაკვოტირებულ ფასიან ქაღალდებს.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს სამართლიანი ღირებულების წარმოდგენილი იერარქიის დონის მიხედვით:

	2022			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	-	-	10,903,099	10,903,099
ფული და ფულის ექვივალენტები	2,557,757	-	-	2,557,757
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით	41,597	-	-	41,597
სხვა აქტივები	-	-	235,623	235,623
სულ ფინანსური აქტივები	2,599,354	-	11,138,722	13,738,076
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	-	7,608,079	7,608,079
საიჯარო ვალდებულებები	-	-	615,235	615,235
სხვა ვალდებულებები	-	-	131,661	131,661
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	8,354,975	8,354,975

	2021			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	-	-	11,280,053	11,280,053
ფული და ფულის ექვივალენტები	1,776,043	-	-	1,776,043
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით	30,678	-	-	30,678
სხვა აქტივები	-	-	136,433	136,433
სულ ფინანსური აქტივები	1,806,721	-	11,416,486	13,223,207
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	-	7,480,342	7,480,342
საიჯარო ვალდებულებები	-	-	684,217	684,217
სხვა ვალდებულებები	-	-	283,275	283,275
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	8,447,834	8,447,834

26. კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზანს კაპიტალის შენარჩუნებასთან დაკავშირებით წარმოადგენს უზრუნველყოს აქციონერები ადეკვატური ფინანსური სახსრების მიღებით და საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კომპანია შეესაბამება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 სექტემბერს და რომლის მიხედვითაც კომპანიის საზედამხებველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრამდე განისაზღვრა 500,000 ლარით, ხოლო 2019 წლის 30 ივნისამდე 1,000,000 ლარით. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მოთხოვნები კოეფიციენტებთან დაკავშირებით შემდეგია:

- საზედამხებველო კაპიტალის კოეფიციენტი
- ლიკვიდურობის კოეფიციენტი
- ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი
- ინვესტიციების კოეფიციენტი
- ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი
- დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი

საქართველოს ეროვნულ ბანკის მიერ ასევე განსაზღვრულია ერთ მსესხებელზე გაცემული სესხების ჯამური ოდენობაც.

31 დეკემბერი 2022

კოეფიციენტი	დაწესებული ზღვარი	წარდგენილი კოეფიციენტი	აუდირებული (ფასს-ის მიხედვით)
საზედამხებველო კაპიტალის კოეფიციენტი	მინიმუმ 18%	46.2%	49.7%
ლიკვიდურობის კოეფიციენტი	მინიმუმ 18%	174.3%	149.2%
ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი	მაქსიმუმ 40%	17.8%	15.0%
ინვესტიციების კოეფიციენტი	მაქსიმუმ 15%	0%	0%
ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი	მაქსიმუმ 15%	0%	0%
დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი	მაქსიმუმ 90%	127.1%	111.5%

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ერთერთ მოთხოვნას - დარღვეულია დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი. ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის კომპანია არ დაჭარიმებულა აღნიშნული დარღვევისთვის. 2022 წლის 17 ოქტომბერს მენეჯმენტმა აცნობა ეროვნულ ბანკს აღნიშნული დარღვევის შესახებ. 2022 წლის 18 ოქტომბერს ეროვნულმა ბანკმა კომპანია დაუდგინა შემდეგი გეგმა 2023 წლის 31 ოქტომბრამდე აღნიშნული კოეფიციენტი უნდა შემცირდეს 10%-ით და 2024 წლის 31 ოქტომბრამდე დამატებით 30%-ით. ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის სებს არ გაუხორციელებია რაიმე ტიპის სანქციები კომპანიის მიმართ აღნიშნული კოეფიციენტის დარღვევისთვის.

27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

მმართველობითი ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრებათა ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე	1
კომპანიის ისტორია და საქმიანობა	2
კომპანიის ფილიალები	2
კომპანიის ძირითადი პროდუქტები	3
ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	5
განვითარების გეგმები	6
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	6
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	7
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	7

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს მისო „გირო კრედიტი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წილით საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიშგება საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიშგება არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშგებების შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განვიხილავთ რაიმე სახის მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე

2023 წლის 12 ივლისი

RSM Georgia

85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99

F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს მისო „გირო კრედიტი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლით საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიშგება საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიშგება არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშგებების შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე

2023 წლის 12 ივლისი

RSM Georgia
S. G. G. G.

კომპანიის ისტორია და საქმიანობა

კომპანია გირო კრედიტი დაარსდა 2010 წლის ოქტომბერში, 2011 წლის დეკემბერში მას მიენიჭა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი. უკვე 12 წელია, გირო კრედიტი წარმატებით მოღვაწეობს საქართველოს ფინანსურ ბაზარზე, სწორი ფინანსური პოლიტიკის და თანამშრომელთა მაღალკვალიფიციური გუნდის შედეგად, მან შეძლო მოეზიდა პარტნიორები და ერთგული მომხმარებლები, რომლის რიცხვიც მუდამ იზრდება.

2022 წლის უმთავრესი ფაქტორები, რომლებიც სამენარშეო საქმიანობაზე გავლენას ახდენდა, იყო პანდემიის გახანგრძლივება, უკრაინაში არსებული ომის გავლენა ეკონომიკაზე და ინფლაციური ზეწოლით განპირობებული მაღალი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი.

ინფლაციის დონის შესამცირებლად/შესანარჩუნებლად ეროვნული ბანკი მიმართავს რეფინანსირების განაკვეთის ბერკეტს, 2022 წლის დასაწყისში განაკვეთი შეადგენდა 10.5% ხოლო 2022 წლის ბოლოს 11%. კომპანიის, რეზიდენტი კომერციული ბანკებისგან, მოზიდული კაპიტალი ინდექსირებულია, რეფინანსირების განაკვეთის ზრდა უარყოფით გავლენას ახდენს საპროცენტო ხარჯებზე, რაც ნაწილობრივ აიძულებს კომპანიას გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების შენარჩუნებაზე და არა შემცირებაზე მუშაობას.

კომპანიის ფილიალები

მიუხედავად ზემოთხსენებული ფაქტორებისა, ოპტიმალურ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით კომპანია ვითარდება.

ამრიგად 2022 წლის ბოლოს გირო კრედიტი წარმოდგენილია ქართულ ბაზარზე 6 ფილიალით, თბილისის მასშტაბით. მენეჯმენტის გეგმებში შედის გეოგრაფიული არეალის გაფართოება. აღსანიშნავია, რომ ფართების დიდი ნაწილი წარმოადგენს გირო კრედიტის საკუთრებას, რაც მის მდგრადობაზე და სტაბილურობაზე მეტყველებს.

ყველა ფილიალი მუშაობს 24/7 რეჟიმით და მდებარეობს ქალაქ თბილისში შემდეგ მისამართებზე:

თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ #19ა

თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ #31


თბილისი, პეკინის გამზ. #3

თბილისი, ც. დადიანის #193

თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქ. #20


თბილისი, ა. ვასაძის ქ. #6ა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პორტფელის მოცულობა (რეზერვების გამოკლებით) ფილიალების მიხედვით




კომპანიის ძირითადი პროდუქტები

ტრადიციულად კომპანიის პრიორიტეტს წარმოადგენს პორტფელის ხარისხი, და არა მოცულობა. 2022 წელს, სხვა წლებთან შედარებით მეტად გამკაცრდა პორტფელის ხარისხის კონტროლის პროცედურები. წლის ბოლოს პორტფელის გადანაწილება პროდუქტების მიხედვით შემდეგ დიაგრამაშია მოყვანილი:




გარდა სესხის გაცემისა, კომპანიის უმთავრეს პროდუქტს ასევე წარმოადგენს ვალუტის კონვერტაცია, გირო კრედიტის ყველა ფილიალში მომხმარებლებს შეუძლიათ გადაცვალონ შემდეგი ვალუტები:


USD	აშშ დოლარი	TRY	თურქული ლირა
GBP	გირვანქა სტერლინგი	RUB	რუსული რუბლი
EUR	ევრო	AZN	აზერბაიჯანული მანათი



გირო კრედიტი თავის მომხმარებლებს ასევე სთავაზობს შემდეგი ფულადი გზავნილებით მომსახურებას:



2022 წლის ბოლოს გირო კრედიტში დასაქმებული იყო 50 თანამშრომელი. კომპანია ორიენტირებულია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და კვლავ რჩება ერთ-ერთ აქტიურ დამსაქმებლად შრომით ბაზარზე. კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა შემდეგ ნაირად გამოიყურება:



ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ორგანიზაცია აფასებს საკუთარ შედეგებს შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით:

დამრგვალება: ათასი ლარი	2021	2022
სასესხო პორტფელი	11,280,053	10,903,099
მთლიანი საოპერაციო შემოსავლები	3,387,513	5,232,311
მთლიანი საოპერაციო ხარჯები (ანარიცხების გარდა)	2,856,709	3,437,389
მთლიანი კაპიტალი	6,626,292	7,153,570
მთლიანი აქტივები	15,129,470	15,531,824
სუფთა მოგება	517,656	817,278
საოპერაციო ხარჯების კოეფიციენტი*	84%	66%
ROA**	3%	5%
ROE***	8%	11%

*საოპერაციო ხარჯების კოეფიციენტი = პერიოდის მთლიან საოპერაციო ხარჯებს / იმავე პერიოდის მთლიან საოპერაციო შემოსავლებთან

**ROA = წმინდა მოგება/ აქტივები

***ROE = წმინდა მოგება/ კაპიტალი

ორგანიზაციის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

დასახელება	2021	2022
თანამშრომლების რაოდენობა	47	50
აქტიური სესხების რაოდენობა	6332	6995
აქტიური მსესხებლების რაოდენობა	3969	4143

2022 წლის ბოლოს გირო კრედიტის შტატი გაიზარდა 6%, თანამშრომლების ეფექტურობის გაზრდისა და გუნდური მუშაობის პრინციპის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით, გირო კრედიტი აწყობს სხვადასხვა ღონისძიებებს, არასამსახურობრივ შეკრებებს და მითაპებს.

გირო კრედიტის საოპერაციო შემოსავლები 2022 წელს გაიზარდა 54.5%-ით, ხოლო პორტფელის მოცულობა მცირედით გაიზარდა. კომპანია მინიმალური დანაკარგებით უმკლავდება გლობალურ ბაზარზე არსებულ ეკონომიკურ რყევებს, ხოლო პორტფელის მოცულობის გაზრდა უპირობოდ დადებითად აისახება კომპანიის მომავალ შემოსავალზე.

რაც შეეხება ბიზნესის დაფინანსებას, საკუთარი სახსრების გარდა გირო კრედიტი აფინანსებს თავის საქმიანობას ადგილობრივი კომერციული ბანკებიდან და ფიზიკური პირებისგან მოზიდული სახსრებით. აღსანიშნავი ის ფაქტიც, რომ გირო კრედიტს მოზიდული ჰქონდა სახსრები მრავალწლიანი გამოცდილების მქონე საერთაშორისო ფონდისგან.

განვითარების გეგმები

შპს მიკროსაფინანსო გირო კრედიტი ზრდაზე ორიენტირებული კომპანიაა, დაგეგმილი აქვს გახდეს ძლიერი, კლიენტზე ორიენტირებული ფინანსური ორგანიზაცია. კომპანიის მოლოდინია რომ 2023 წელს მისი მოგება გაიზარდეს 2022 წელთან შედარებით. მოგების ზრდა განპირობებულია 2022 წელს ნაკლებად რისკიანი პორტფელის გაცემით, რაც თავის მხრივ შეამცირებს გაუფასურების ანარიცხებს. მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები მოიცავს ფილიალების დამატებას და გეოგრაფიული ორეალის გაფართოებას, როგორც თბილისში ასევე რეგიონებშიც, მათ შორის, ქალაქ გორში, მცირე და საშუალო მენარმეების განვითარებისთვის.

კომპანიის სტრატეგია 2023 წლისთვის ასე გამოიყურება:

- ✓ ახალი ფილიალების დამატება.
- ✓ კადრების მოზიდვა.
- ✓ საკრედიტო რისკის რაციონალური მართვის გზით.
- ✓ საკრედიტო პორტფელის გაზრდა.
- ✓ პორტფელის დივერსიფიკაცია, სოფლის მეურნეობის სეგმენტისთვის პროდუქტის შეთავაზება.
- ✓ ხარჯების ოპტიმიზაცია.
- ✓ პერსონალის განვითარება, სერვის პლიუსს მიმართულებით მაქსიმალური დატვირთვით.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი. კომპანია თავის საქმიანობის პროცესში დგას შემდეგი რისკების წინაშე.

საკრედიტო რისკი: რისკი, რომ კლიენტები ვერ შეძლებენ საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულებას გაცემულ სესხებთან მიმართებაში. კომპანიის სასესხო პორტფელის უმეტესი ნაწილი წარმოადგენს უზრუნველყოფილ სესხებს. არაუზრუნველყოფილი სესხების სეგმენტში ხვდება, ბიზნეს სესხების გარკვეული ნაწილი რომლებიც გაცემულია ბიზნესის ფულის გენერირების პოტენციალის გათვალისწინებით. კომპანიის გააჩნია საკრედიტო პოლიტიკა რომელიც განსაზღვრავს სესხის გაცემის პროცედურას და სესხის მონიტორინგის პროცედურას. პროცედურებში თავის მხრივ განსაზღვრულია ისეთი საკითხები როგორიც არის სესხების ლიმიტები, სესხების რესტრუქტურისა და რეფინანსირების წესები, და საკრედიტო კომიტეტის მუშაობის პრინციპები, პერიოდული შემოწმება, ადგილზე ვიზიტი, სატელეფონო კონტაქტი და სხვა, რათა დროულად მოხდეს პოტენციური რისკების იდენტიფიცირება და მათზე ადეკვატური რეაგირება.

საოპერაციო რისკი: გულისხმობს პოტენციურ დანაკარგებს რომლებიც გამომდინარეობს შიდა კონტროლის სისტემის არქონის, არასაკმარისი ან დაბალი კადრების კვალიფიკაციით, სააღრიცხვო და საოპერაციო სისტემების არაადეკვატურობით, ადამიანური დაუდევრობით, შეცდომებით და თაღლითობით. გირო კრედიტი მუდმივად აუმჯობესებს შიდა კონტრილოს სისტემას. რაც გამოიხატება პოლიტიკის და პროცედურების გაუმჯობესებაში და კომპანიის მიმდინარე მოთხოვნილებებზე მორგებაში. ხოლო თავის მხრივ შიდა აუდიტის სამსახური ამოწმებს თუ რამდენად არის დაცული პროცედურებით განსაზღვრული ქმედებები. აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საოპერაციო და სააღრიცხვო სისტემის გამართულობას. მუდმივად ხდება სისტემის დახვეწა, ახალი ფუნქციონალების დამატება და ავტომატიზაცია.

სავალუტო რისკი: გულისხმობს აქტივების ან/და შემოსავლების გაუფასურებას რომელიც გამოწვეულია ვალუტის კურსის ცვლილებით. ვალუტის გადაფასების რისკი რელევანტური ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია სესხულობს ერთ ვალუტაში და გასცემს სესხებს სხვა ვალუტაში. კომპანიაში ყოველდღიური რეჟიმით ხორციელდება მონიტორინგი გახსნილი სავალუტო პოზიციების, აქტივები და პასივების სტრუქტურის რათა მინიმუმამდე დაყვანილ იქნას გახსნილი პოზიციების რისკი. კომპანია იყენებს სავალუტო სვოპ კონტრაქტებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

ლარის გაუფასურება: ლარის გაუფასურობა ნეგატიურ გავლენას ახდენს მთლიან ბიზნეს აქტივობაზე. ბიზნეს აქტივობის შემცირება თავის მხრივ ამცირებს სესხებზე მოთხოვნას და ზრდის სესხებზე ვადაგადაცილების ალბათობას. ეს არის მაკროეკონომიკური რისკი რომელიც ნეგატიურად მოქმედებს მთლიან ეკონომიკაზე. შესაბამისად ამ რისკის ბოლომდე განეიტრალება შეუძლებელია. გირო კრედიტის პოლიტიკის მიხედვით აქტივების გარკვეული ნაწილი უნდა იყოს უცხოურ ვალუტაში.

ლიკვიდურობის რისკი: ეს რისკი გულისხმობს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მიმდინარე ვალდებულებების გასტუმრებას. გირო კრედიტს თავისი ოპერაციების სპეციფიკიდან გამომდინარე გააჩნია ნაღდი ფულის მაღალი ნაშთები (მთლიანი

აქტივების 16.46%). საჭიროების შემთხვევაში კომპანიას შეუძლია ეს თანხები გამოიყენოს მიმდინარე ვალდებულებების დასაფარავად. კომპანიას აქვს წვდომა საკრედიტო ხაზებზე და შეუძლია დამატებითი სახსრების სესხება. ასევე, ფინანსური დეპარტამენტი ახორციელებს მოსალოდნელი შემოდიანების და გადინების ანალიზს.

დაფინანსების რისკი: გულისხმობს რომ კომპანია ვერ შეძლებს საკმარისი ფონდების მოძიებას დაგეგმილი ზრდის დასაფინანსებლად. ამ რისკის მინიმალიზაციისთვის, კომპანია ცდილობს პოტენციური წყაროების დივერსიფიკაცია მოახდინოს. კერძოდ, გირო კრედიტის ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანაა საერთაშორისო ფონდირებაზე კიდევ უფრო ფართე წვდომის მოპოვება.

კონკურენცია: ადგილობრივი მიკროსაფინანსო ბაზარი იმყოფება სიმწიფის ფაზაში, ამდენად კონკურენცია საკმაოდ მაღალია, შესაბამისად, ზრდის პოტენციალი არის შეზღუდული. ასევე, აღსანიშნავია, რომ ბაზრის ფაზაც და ეროვნული ბანკის რეგულაციებიც უბიძგებენ ბაზარს კონსოლიდაციისკენ. გირო კრედიტის შიდა სისტემის გამართულობა და ფინანსური სიძლიერე არის ფაქტორები, რომელთა საშუალებითაც გირო კრედიტი აპირებს თავისი სტრატეგიული ამოცანების მიღწევას და სტაბილურ ფინანსურ ინსტიტუტად ჩამოყალიბებას.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 12 ივლისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გიორგი გუგუმბერიძე


აქტივების 16.46%). საჭიროების შემთხვევაში კომპანიას შეუძლია ეს თანხები გამოიყენოს მიმდინარე ვალდებულებების დასაფარავად. კომპანიას აქვს წვდომა საკრედიტო ხაზებზე და შეუძლია დამატებითი სახსრების სესხება. ასევე, ფინანსური დეპარტამენტი ახორციელებს მოსალოდნელი შემოდინებების და გადინების ანალიზს.

დაფინანსების რისკი: გულისხმობს რომ კომპანია ვერ შეძლებს საკმარისი ფონდების მოძიებას დაგეგმილი ზრდის დასაფინანსებლად. ამ რისკის მინიმალიზაციისთვის, კომპანია ცდილობს პოტენციური წყაროების დივერსიფიკაცია მოახდინოს. კერძოდ, გირო კრედიტის ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანაა საერთაშორისო ფონდირებაზე კიდევ უფრო ფართე წვდომის მოპოვება.

კონკურენცია: ადგილობრივი მიკროსაფინანსო ბაზარი იმყოფება სიმწიფის ფაზაში. ამდენად კონკურენცია საკმაოდ მაღალია, შესაბამისად, ზრდის პოტენციალი არის შეზღუდული. ასევე, აღსანიშნავია, რომ ბაზრის ფაზაც და ეროვნული ბანკის რეგულაციებიც უბიძგებენ ბაზარს კონსოლიდაციისკენ. გირო კრედიტის შიდა სისტემის გამართულობა და ფინანსური სიძლიერე არის ფაქტორები, რომელთა საშუალებითაც გირო კრედიტი აპირებს თავისი სტრატეგიული ამოცანების მიღწევას და სტაბილურ ფინანსურ ინსტიტუტად ჩამოყალიბებას.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 12 ივლისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გიორგი გუგუმბერიძე